ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ადმინისტრაციული წარმოების მითითებით)

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“

ადმინისტრაციული წარმოება-ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ცირა ნიკოლაშვილი
წევრ(ებ)ი:
სოფიო ტარასაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ:211360141)

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://muschool.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	https://muschool.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(995 32) 2 135 135

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის ბრძანება MES 7 24 0000724517
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2024 წლის 28 ივნისი

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი ლეო კვაჭაძის N12
ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი ლეო კვაჭაძის N12
ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ. თბილისი ლეო კვაჭაძის N12

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ ,,მწიგნობართუხუცესს“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის MES 7 22 0000510309 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით, მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. დაწესებულება ფუნქციონირებდა ორ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12 და ნუცუბიძის II მკ.რ. ჟღენტის ქუჩა N37.

2023 წლის მარტში გასხვისდა ბესარიონ ჟღენტის ქუჩაზე მდებარე შენობა როგორც საწარმოს დამოუკიდებელი ქვედანაყოფი. გასხვისებულ შენობაში დარჩა 44 თანამშრომელი, ასევე, მატერიალური და სასწავლო რესურსი. გასხვისების ფაქტს ლეო კვაჭაძის N12-ში მდებარე შენობაში კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ცვლილება არ გამოუწვევია. სკოლა-ლიცეუმმა ფუნქციონირება განაგრძო (ე.წ. I კორპუსში) არსებული ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის ცვლილების გარეშე.

2024 წლის 13 ივნისს დაწესებულებამ მიმართა განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების თაობაზე. სკოლა ითხოვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას 1300 (ათას სამასი) მოსწავლით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის ბრძანების MES 7 24 0000724517 საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი ,,მწიგნობართუხუცესი“_ში (ს/კ:211360141) დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ “ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი ,,მწიგნობართუხუცესში“ ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 28 ივნისს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების თვითშეფასება, მასზე თანდართული დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, ადამიანური და მატერიალური რესურსი. ვიზიტის პროცესში გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტში დაფიქსირდა სტანდარტთან შეუსაბამობა 3.2, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტებში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1886	**944**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) 2024 წლის 18 ივლისს დამატებით შემოვიდა შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი ,,მწიგნობართუხუცესი“-ის კორესპონდენცია, რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სტანდარტთან/სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ინდიკატორების მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. აგრეთვე, განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. სტანდარტის კომპონენტები, რომლებიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა „მეტწილად შეესაბამისად“ (3.1., 3.4., 3.6.) და „შესაბამისად“ (კომპონენტი 3.5.), ხოლო საკუთრივ სტანდარტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

სკოლა ფლობს მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისათვის საჭირო მატერიალურ და სასწავლო რესურსს. სკოლაში დასაქმებულია 183 თანამშრომელი, მათ შორის 126 მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ვაკანტური იყო ექიმის პოზიცია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

		აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა
რაოდენობა:
1300</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
☒</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
☐</td></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადის დაცვის (19.09.2024) უზრუნველყოს მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის კანონმდებლობასთან შესაბამისად წარმართვა. კერძოდ, მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის ეტაპების დასრულებისას შედგეს შესაბამისი ოქმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №174/ნ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.*
ინდიკატორი N 3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა შესაბამისობის უზრუნველყოფით გაწერილი ვადის დაცვით, 01.07.2025 წ.*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს ინსპეტირების (ექსპერტიზის) ანგარიშში გაწერილი რეკომენდაციების შესრულება.*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმით განსაზღვრული აქტივობები (ვიდეომეთვალყურეობის კამერების შეძენა და მონტაჟი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონისა და უფლებამოსილი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად) განახორციელოს დადგენილი ვადის დაცვით 01.12.2024 წ.*
ინდიკატორი N 3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმით განსაზღვრული აქტივობები (შესაბამისი დოკუმენტაციის განახლება, სამედიცინო და ფსიქოლოგიური კაბინეტის გამიჯვნა) განახორციელოს განსაზღვრული ვადის დაცვით - 01.12.2024 წ.*
ინდიკატორი N N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმით განსაზღვრული აქტივობები (სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება საიტზე) უზრუნველყოს განსაზღვრული ვადის დაცვით - 01.12.2024 წ.*

	დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*სკოლამ უზრუნველყოს ექიმის დასაქმება.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

წინა ვიზიტის დროს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, (30.03-31.03. 2022 წ.) რეკომენდაცია გაცემულა.

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ ,,მწიგნობართუხუცესის“ ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (N05/49, 03.09.2020). სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს: დამფუძნებელთა კრება, დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, პედაგოგიური საბჭო, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საგნობრივი კათედრები, მასწავლებლის მხარდაჭერის ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, შრომის უსაფრთხოების სამსახური, ეკონომიკის საკითხთა მენეჯერი, ბუღალტერი, საქმისწარმოების მენეჯერი, ისტმენეჯერი, საგანგებო სიტუაციების შტაბი, სამართლებრივ საკითხთა მენეჯერი, სამეურნეო საკითხთა მენეჯერი, ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, საზღვარგარეთთან ურთიერთობის ჯგუფი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახური, უსაფრთხოებისა და დისციპლინის სამსახური.

აღნიშნულ სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუქნციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედებს ბრძანება (N05/54, 11.09.2020) „სკოლის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის დებულების დამტკიცების შესახებ“. დამტკიცებულია რიგი კონცეფციები და დებულებები; კერძოდ, სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის კონცეფცია, სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის კონცეფცია, საგნობრივი კათედრების მუშაობის ზოგადი კონცეფცია, საზოგადოებასთან მუშაობის სამსახურის ზოგადი კონცეფცია, საზღვარგარეთთან მუშაობის სამსახურის ზოგადი კონცეფცია, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, სამედიცინო კაბინეტის დებულება.

სკოლაში მოქმედებს ბრძანება „სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, N05/26/2, 04.01.2022, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული პირების ფუნქციები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პირებმა იციან დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, პასუხისმგებლობა გადანაწილებულია დასაქმებულ პირთა შორის და მკაფიოდ განსაზღვრულია ანგარიშვალდებულების სისტემა, რაც ხელს უწყობს საგანმაანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სკოლის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ, 03.09.2020
- ბრძანება „სკოლის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის დებულების დამტკიცების შესახებ“, N05/54, 11.09.2020
- ბრძანება „სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, N05/26/2, 04.01.2022
- შრომითი ხელშეკრულებები
- შრომის შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესის, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობების წარმოშობას, შრომითი ურთიერთობების პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის დროსა და წესს, შევებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა/ანგარიშგების წესებს, შრომის პირობების დაცვის წესებს, წახალისებებისა და პასუხისმგებლობებისა სახეებსა და გამოყენების წესებს, მატერიალურ პასუხისმგებლობას და სხვ.

სკოლაში მოქმედებს „სკოლის სხვადასხვა დებულებებისა და წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება (05/49, 01.08.2023). ბრძანების დანართი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ ადგენს ადამიანური რესურსის მართვის პირობებს, რომლებიც შესაბამისია მოქმედ კანონმდებლობასთან. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს თანამშრომელთა მუშაობაზე დაკვირვება, ხდება საჭიროებების გამოვლენა. დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, შექმნილია პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს საჭიროებების შესაბამისად მასწავლებელთა მხარდაჭერას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

3. სკოლა ვაკანტური პოზიციის შესახებ აცხადებს კონკურსს. გამოიცემა ბრძანება და კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ვებ გვერდზე teachersjobs.ge. დამტკიცებულია მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის წესი. <u>მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის ეტაპების დასრულებისას არ დგება შესაბამისი ოქმი, რითაც ირღვევა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №174/ნ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ.“</u> **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანა, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის პოზიციის დამატება.) შესრულების ვადა - 16.09.2024 წ. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ სტანდარტებს. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც წარმოდგენილია სკოლის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია. დასაქმებულებს წარმოდგენილი აქვთ ცნობები ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულოს ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ.

სკოლაში დასაქმებულია 183 თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტაციაში - 18. სკოლას ჰყავს 126 მასწავლებელი. მათ შორის, მენტორი - 1, უფროსი მასწავლებელი - 99, წამყვანი მასწავლებელი - 16, მოწვეული მასწავლებელი - 10. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება ურთერთთანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის მუშაობის პრინციპებს. მასწავლებელები ერთიანდებიან კათედრებზე. აქტიურია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. შექმნილია პედაგოგიური საბჭო. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან პედაგოგები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

6. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია დასაქმებულთა წახალისების სახეები. შესაძლოა გამოიყენებდეს შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი, ფულადი პრემია. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის შინაგანაწესი

- ბრძანება „სკოლის სხვადასხვა დებულებებისა და წესების დამტკიცების შესახებ“, (05/49, 01.08.2023)
- სკოლის მონაცემები განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- დასაქმებულთა პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლა პერიოდულად იკვლევს პერსონალის საჭიროებებს, ამისათვის გამოიყენება გასაუბრება და კითხვარები. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუშაობას წარმართავს განსაზღვრული წესის საფუძველზე. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლის დირექციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება პერსონალის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. დასაქმებულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროფესიული განვითარების ღონისძიებებისა შესახებ. პედაგოგები მონაწილეობდნენ მათი სტატუსის შესაბამისად სავალდებულო ტრენინგებში. 2023 წელს სკოლამ წამყვანი მასწავლებელის სტატუსის მოსაპოვებლად წარადგინა ორი მასწავლებელი. აგრეთვე, ორი მასწავლებელი გახდა უფროსი მასწავლებელი. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლის შინაგანაწესი ადგენს, რომ თანამშრომლის დასაქმების დროს დირექტორი მას აცნობს დამფუძნებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას სკოლაში სანიტარიის, ჰიგიენის, ხანძარსაწინააღმდეგი წესების დაცვის საკითხებზე. დასაქმებამდე თანამშომელი ეცნობა შინაგანაწესსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

5. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია წაახალისებს პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, მათ შორის, პედაგოგთა კარიერული განვითარებისა და წინსვლის სქემასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სხვადასხვა პროფესიული განვითარების კურსებსა და ღონისძიებებში ჩართულობას. სკოლის მხრიდან მხარდაჭერილია ამგვარი ინიციატივები და ხშირად დირექცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არის პედაგოგთა პროფესიული განვითარების მთავარი ხელშემწყობი სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის სტანდატის შესაბამისად წარმართვისათვის. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი, 08.09.2021

- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- შრომის შინაგანაწესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის საქაღალდე

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023 წელს დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად.
სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია „ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება“ (დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, კათედრის გამგე). განყოფილების საქმიანობას კოორდინირებას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ხარისხის მართვის სტრატეგიებსა და მონიტორინგს, შეფასებასა და კორექტირებას განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. სკოლა ახორციელებს თვითშეფასებას და შედეგებს იყენებს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**
2. სკოლის პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და კარიერული განვითარება. აღნიშნული პროცესები აღწერილია შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელ წესებში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**
3. სკოლის შინაგანაწესი მოიცავს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა უფლებებს, ასევე განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს. დირექტორი საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან ორი კვირის ვადაში. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება ან უმოქმედობა შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**
4. მოსწავლის, მშობლისა და პერსონალის უფლებები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებაში, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაში. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს მოსწავლეთა და მასწავლებელთა დისციპლინურ გადაცდომებს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკა, 2023
- სკოლის შინაგანაწესი, 08.09.2021
- ბრძანება დისციპლინური კომიტეტის შესახებ
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
- დასაქმებულებთან დადებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასა და უკუკავშირის მიღებას სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ვებ-გვერდის, Facebook გვერდის, ელ. ჟურნალის, დახურული საკომუნიკაციო ჯგუფების, კრებებისა და ინდივიდუალური შეხვედრების მეშვეობით. სასკოლო საზოგადოების წევრებსა და დირექციას შორის არსებობს ღია და თანამშრომლობაზე მიმართული კომუნიკაცია. სკოლა განიხილავს მართვის პროცესებთან დაკავშირებულ უკუკავშირს და ითვალისწინებს მას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. სასკოლო საზოგადოების წევრები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მასწავლებლების ერთიანდებიან პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივ კათედრებზე. წახალისებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივები. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება,
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- კათედრების დებულება
- ვებ გვერდი და სხვა საკომუნიკაციო არხები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დოკუმენტაციის შესწავლის და ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დებულება (15.01.2020), შექმნილია უსაფრთოხოებისა და დისციპლინის სამსახური, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე.

ვიზიტის პერიოდში სკოლას:

- **არ ჰქონდა** უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 30 ივნისის ბრძანება მშენებლობადამთავრებული ობიექტის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) შესახებ. **(დანართი N1)**
- **არ ჰქონდა** უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

სკოლამ წარმოადგინა 2019 წლის 04 დეკემბრის სახელმწიფოს სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N84 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე. სკოლისათვის განსაზღვრული იყო 14 სავალდებულო ღონისძიების შესრულება. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმით განსაზღვრულია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები: ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, ბ) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, გ) უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა.

სკოლამ წარმოადგინა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანია - შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება.

სკოლამ წარმოადგინა „შპს ზნიეპის“ მიერ შესრულებული ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში. ანგარიშის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „შენობის ტექნიკური მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია. რაიმე პროცესები, რომლებიც შენობის ექსპლუატაციის პროცესში საფრთხეს გამოიწვევდა, არ ფიქსირდება. მთლიანობაში შენობის ტექნიკური მდგომარეობა ფასდება დადებითად და მისი ექსპლუატაცია ამ ეტაპზე დასაშვებია“. **(დანართი N2)**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს ინსპეტირების (ექსპერტიზის) ანგარიშში გაწერილი რეკომენდაციების შესრულება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა შესაბამისობის უზრუნველყოფით გაწერილი ვადის დაცვით, 01.07.2024 წ.

ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

2. დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერებისა და ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი.

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა მოსწავლეთა მოთხოვნული ზღვრული რაოდენობის შესაბამისი სამედიცინო პერსონალი. სკოლაში დასაქმებული იყო მხოლოდ ექთანი. ვაკანტური იყო ექიმის პოზიცია.
სამედიცინო კაბინეტი საჭიროებდა შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. კერძოდ, არ წარმოებდა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართ N1.1-ის შესაბამისად. კონფიდენციალური დოკუმენტაცია არ იყო განთავსებული დაცულად სივრცეში. სამედიცინო კაბინეტში არ იყო კომპიუტერი, საათი, კარადა ან ტუმბო სამედიცინო დოკუმენტების შესანახად, სამედიცინო ტახტი, საკაცე, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, გამყოფი პანელი ან ტიხრული შირმა, საათი. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**
რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს ექიმის დასაქმება.

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობა (გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის უზრუნველყოფა, კონფიდენციალური დოკუმენტაციის დაცულ სივრცეში განთავსება და სამედიცინო ოთახის მოწყობა). ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისად“.

3. სკოლა არ აქვს საკუთარი, სამინისტროსთან შეთანხმებული „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესი. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით. თუმცა სკოლას არ ჰყავს აღნიშნული წესით მრჩეველთა საბჭო.
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთოების უზრუნველსაყოფად სკოლას ჰყავს დაცვის სამი კოორდინატორი. აგრეთვე, დირექცია, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, უსაფრთოხებისა და დისციპლინის სამსახურის წევრები და მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის მეთვალყურეობას.
ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა სკოლაში არ შეესაბამება ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნებს: ვიზიტის პერიოდში სკოლის გარე და შიდა პერიმეტრი (კიბის უჯრედები, დერეფნები, ფოიე) სრულად არ კონტროლდებოდა ვიდეომეთვალყურეობის კამერებით. სკოლის გარე პერიმეტრი საჭიროებს ექსპერტთა დათვლით

ვიდეომეთვალყურეობის 6 კამერას, ხოლო შიდა პერიმეტრის გარკვეული სივრცეები (კიბის უჯრედები, დერეფნები და ფოიე) სრული ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ სკოლის დერეფნებში, ორ სართულზე, განთავსებულია ხელსაბანები, რაც შეუძლებელს ხდის ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებას პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძვლით. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმით განსაზღვრული აქტივობები (ვიდეომეთვალყურეობის კამერების შეძენა და მონტაჟი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონისა და უფლებამოსილი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად) განახორციელოს დადგენილი ვადის დაცვით 01.12.2024 წ. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. დირექცია ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სწორედ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას მოიაზრებს. სკოლაში წახალისებულია ისეთი აქტივობები და პროექტები, რომლებიც ამ მიმართულებით მოსწავლის ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. სადამრიგებლო მუშაობა მიმართულია ბულინგისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოსწავლეებისათვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ.

სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომლის მუშაობა სწორედ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მოსწავლის საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისაკენ არის მიმართული. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების მონიტორინგს პერიოდულად ახორციელებს სკოლის სამედიცინო პერსონალი. სკოლაში მუშაობს 12 დამლაგებელი, გარკვეული პერიოდულობით სკოლაში ტარდება სადეზინფეციო სამუშაოები. სკოლამ წარმოადგინა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის მომსახურების ხელშეკრულება. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

6. სკოლამ წამოადგინა ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დანიშვნის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა მიღებული რეკომენდაციები და არ იყო დაწყებული სამუშაოები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების დანერგვის შესახებ. იგეგმებოდა სკოლის „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესის“ შესაბამისობაში მოყვანა სკოლაში არსებულ რეალურ

სიტუაციასთან (წესში მოხსენიებული იყო სკოლის რეალობასთან შეუსაბამო მოცემულობა - მანდატურის სამსახური და MS Teams პლატფორმა).
მშობლებთან და მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ იყო ასახული პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო სკოლის შინაგანაწესში ფიქსირდებოდა ჩანაწერი გაკვეთილზე მშობლის დასწრების შესაძლებლობის დაშვების შესახებ.
სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო და ფსიქოლოგიური კაბინეტი, რაც მოიაზრებს ერთ ოთახში სამედიცინო კაბინეტისა და ფსიქოლოგის სამუშაო სივრცის არსებობას, რაც არღვევს აღნიშნულ სივრცეში შემსვლელი სასკოლო საზოგადოების წევრების პრივატულობასა და პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობას. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმით განსაზღვრული აქტივობები (შესაბამისი დოკუმენტაციის განახლება, სამედიცინო და ფსიქოლოგიური კაბინეტის გამიჯვნა) განახორციელოს განსაზღვრული ვადის დაცვით - 01.12.2024 წ. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. პერსონალისა და მოსწავლეთა მონაცემების ნაწილი ინახება სკოლის სივრცეში, კარადებში, რომლებიც იკეტება და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირებს. ინფორმაცია ასევე ინახება სკოლის ელექტრონული სისტემაში, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აკრედიტებული შრომის უსაფრთოების სპეციალისტების მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2024 წლის 01 ივლისამდე.) **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთოხებისა და დისციპლინის სამსახურის შექმნის შესახებ ბრძანება, 07.09.2020

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, 2023
- ბრძანება ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესების დამტკიცების შესახებ, 09.09.2020
- მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება (შრომის უსაფრთხოება), 01.04.2024
- ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ფსიქოლოგის თანამდებობრივი ინსტრუქცია
- საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის მომსახურების ხელშეკრულება, 14.05.2024

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი ,,მწიგნობართუხუცესის“ შენობის ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ ინფრასტრუქტურა (შენობა-ნაგებობა N1), რომელშიც განთავსებულია სკოლა-ლიცეუმი, საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისია, ხოლო სკოლის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისათვის - 1300.

<u>ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; წარმოდგენილი იყო 2018 წლის დოკუმენტაცია. კერძოდ,</u> 2018 წლის 29 ოქტომბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ადასტურებს, რომ შპს „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის“ საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12-ში მდებარე სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 4862.00 კვ.მ., მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 7576.10 კვ.მ.; 2018 წლის 30 ოქტომბრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ადასტურებს, რომ შპს „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის“ <u>საკუთრებაშია</u> ქალაქ თბილისში, მისამართზე ლეო კვაჭაძის ქუჩა N12 ა-ში მდებარე სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობით 5120.00 კვ.მ. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია: განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. დამტკიცებულია ბიბლიოთეკით, ისტ ლაბორატორიებითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესები. ამ სივრცეებში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია აღნიშნული საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები.

შენობა ოთხსართულიანია. ნულოვან სართულზე განთავსებულია: სასადილო, ცეკვის დარბაზი, ჭადრაკის კაბინეტი და მცირე სპორტული დარბაზი.

შენობის პირველ სართულზეა: 14 საკლასო ოთახი, კაფეტერია, გასახდელები და საშხაპეები, ექიმისა და ფსიქოლოგის კაბინეტი, დაცვის ოთახი, დირექტორის მოადგილის (სამეურნეო დარგში) სამუშაო ოთახი, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, 2 სველი წერტილი.

მე-2 სართულზეა: ჰოლი, 12 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, აღმასრულებელი დირექტორის, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და საქმისმწარმოებლის კაბინეტები, ბუღალტრის ოთახი და საკოორდინატორო, 5 სველი წერტილი.

მე-3 სართულზე: ჰოლი, 14 საკლასო ოთახი, ინგლისური ენის, ქიმიის, ისტ-ის, რუსულისა და მათემატიკის კაბინეტები, საკოორდინატორო, ხარისხის მართვის და ისტ მენეჯერის კაბინეტები, 5 სველი წერტილი.

IV სართულზეა - 21 საკლასო ოთახი, გეოგრაფიის, ისტორიის, ფიზიკის, ბიოლოგიის კაბინეტები, საკოორდინატორო, 5 სველი წერტილი. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულების შესაბამისად. სკოლა ფლობს წიგნად ფონდს, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა - 2456 ერთეული, ინგლისურენოვანი ლიტერატურა - 86 ერთეული დაა სხვ. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

4. სკოლაში სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად დამონტაჟებულია ლიფტი, რაც შესაძლებელს ხდის ეტლით მოსარგებლე პირი გადაადგილდეს შენობის ოთხივე სართულზე. <u>სკოლაში არ იყო მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი.</u> **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითან დასტურდება, რომ სკოლამ უზრუნველყო სველი წერტილებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა და მონტაჟი. ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.

5. სკოლის ინფრასტუქტურა ემსახურება მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას და პასუხობს მათ ინტერესებს; სკოლაში არის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, აუზი, ცეკვის დარბაზი, სააქტო დარბაზი. სკოლის ეზო გამწვანებულია, ამ სივრცეში განთავსებულია სკამები სასკოლო საზოაგადოების შეკრებებისათვის, სკოლის ეზოში მოწყობილია

სათამაშო მოედანი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (2018 წ.)
- აზომვითი ნახაზი
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის სკოლა აღჭურვილია საჭირო რაოდენობის საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიით. სკოლას აქვს 79 (სამოცდაცხრამეტი) კომპიუტერი: სკოლაში ფუნქციონირებს 2 (ორი) კომპიუტერული ლაბორატორია, თითოეულში განთავსებულია 13 (ცამეტი) კომპიუტერი. კომპიუტერებით უზრუნველყოფილია სკოლის ბიბლიოთეკა, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია, საკლასო ოთახები. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია, ასევე უზრუნველყოფილია საჭირო სხვა კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სამოდელო და ინტეგრირებული გაკვეთილებისათვის სკოლა იყენებს პროექტორებს. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთავის, ასევე მასწავლებლებისათვის და სხვა პერსონალისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების ხელშეწყობისათვის. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზიტზე ვიზუალური დათვალიერებით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით (,,ახალი ქსელები“-ხელშეკრულებები);

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები“ , რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ N05/48 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის წესები; შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის, განხილვისა და მასზე პასუხი მომზადების წესი; ბრძანებების რეგისტრაციისა და მათი აღრიცხვის წესი; პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას. კერძოდ, არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას, ასევე, აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შესული/გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ელექტრონულ ჟურნალს - school-book. აღნშნული სისტემით ხორციელდება ადმინისტრაციული პროცესების მართვა, ასევე გამოიყენება მასწავლებლებთან და მშობლებთან კომუნიკაციისთვის. eSchool სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემა ასევე ასახავს სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემებს, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემებსა და საკონტაქტო ინფორმაციებს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

3. eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეები, სახელმძღვანელოების ბაზები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს საინფორმციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ელექტრონული სისტემის გამართულ მუშაობას. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. აღნიშნული დასტურდება შემოსული და გასული კორესპონდეცნიების ჟურნალში გატარებული მონაცემებით. ასევე, პორტალზე შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვაში, საჭიროების და მოთხოვნის შემთხვევაში - მატერიალური სახით წერილებისა და სხვა დოკუმენტაციის გაგზავნაში. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თბილისის ზოგადსაგანამანათლებლო სკოლა-ლიცეუმ ,,მწიგნობართუხუცესის“ საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ვიზიტზე ვიზუალური დათვალიერებით;
- ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს თავისი ვებ.გვერდი (https://muschool.edu.ge/) და სოციალური ქსელი (facebook). სკოლას აქვს ელ-ფოსტა g.chkondideli@yahoo.com. აღნიშნული საშუალებებით, სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას. ვებ.გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სიახლეების შესახებ. სოციალური ქსელის გვერდზე მუდმივად თავსდება ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების და სხვა) შესახებ. ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ე.წ დახურული ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება მშობლებთან შეთანხმებით. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

3. სოციალურ ქსელში სკოლის აქტივობების შესახებ ე.წ. ვიზიტორების ასახული კომენტარების შინაარსი განიხილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ.გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, პრიორიტეტული მიმართულებები, პროგრამების სახელწოდებები, შინაგანაწესი, ინფორმაცია სახელმძღვანელოების შესახებ. შინაგანაწესი ასახავს გასაჩივრების მექანიზმებს, სკოლაში ჩარიცხვის პროცედურებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს.

<u>ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული შემდეგი ინფორმაცია:</u> მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. **(ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

შენიშვნა: სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გეგმით განსაზღვრული აქტივობები (სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება საიტზე) უზრუნველყოს განსაზღვრული ვადის დაცვით - 01.12.2024 წ. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სწავლის გადასახადი. დაფინანსების წყაროს, ასევე წარმოადგენს „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

2. სკოლის ბიუჯეტის გეგმის პროექტს შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი სკოლის მთავარ ბუღალტერთან ერთად. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის 8 (რვა) წევრიანი დამფუძნებელთა კრება, რომლის შემდგენლობაშია თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორიც. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლის ბიუჯეტის განკარგვას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. **(ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- **დანართი N1** ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის 2011 წლის 30 ივნისის ბრძანება მშენებლობადამთავრებული ობიექტის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) შესახებ.
- **დანართი N2** შპს ზნიეპი ინსპეტირების (ექსპერტიზის) ანგარიში, 16.07.2024

თარიღი:
22 ივლისი, 2024 წ.

ხელმოწერა:

ცირა ნიკოლაშვილი

სოფიო ტარასაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: